სსიპ ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლის სატენდერო კომისიის
სხდომის ოქმი №1

ქ. ქუთაისი 10 აპრილი 2019 წ.

ესწრებოდნენ:

კონსტანტინე სირბილაძე – კომისიის თავმჯდომარე, სკოლის დირექტორის მოადგილე სასწავლო დარგში.
ხატია ქანთარია - კომისიის წევრი, სკოლის იურისტი.
ირაკლი პაპავა - კომისიის წევრი, სკოლის შესყიდვების სპეციალისტი.
დავით ავალიანი - კომისიის წევრი, სკოლის ლოჯისტიკის სპეციალისტი.
სოსო ქუთათელაძე - კომისიის აპარატის წევრი, სკოლის ანალიტიკოსი.
სხდომას თავმჯდომარეობდა კომისიის თავმჯდომარე კონსტანტინე სირბილაძე.

დღის წესრიგი:

სსიპ ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინიასტრირების სკოლის ადმინისტრაციული შენობის მიმდინარე რემონტის სამუშაოების ელექტრონული ტენდერის (NAT) საშუალებით შესყიდვის მიზნით (CPV45400000), სატენდერო განცხადების, სატენდერო დოკუმენტაციის, ხარჯთაღრიცხვის (დანართი N1), შესრულების კალენდარული და თანხობრივი გეგმა-გრაფიკის (დანართი N2) და ხელშეკრულების პროექტის (დანართი N3) დამტკიცების შესახებ.

მოისმინეს:

სატენდერო კომისიის აპარატმა სატენდერო კომისიას მოახსენა, რომ შესყიდვის სავარაუდო ღირებულება დადგინდა სკოლის ლოჯისტიკის ასისტენტის შენობის პროექტირების საკითხებში გიორგი თოდუას მიერ შედგენილი ხარჯთაღრიცხვების საფუძველზე, რომლის ღირებულებაც შეადგენს 35979 ლარს. ასევე დასამტკიცებლად წარმოადგინეს: სატენდერო განცხადების, სატენდერო დოკუმენტაციის, ხარჯთაღრიცხვის (დანართი N1), შესრულების კალენდარული და თანხობრივი გეგმა-გრაფიკის (დანართი N2) და ხელშეკრულების პროექტის (დანართი N3) დოკუმენტები.

კომისიის წევრმა ირაკლი პაპავამ კომისიას მოახსენა, რომ მიზანშეწონილია აღნიშნული შესყიდვა განხორციელდეს ელექტრონული ტენდერის (NAT) საშუალებით.

დაადგინეს (ერთხმად):

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „რ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, შესყიდვა განხორციელდეს ელექტრონული ტენდერის (NAT) საშუალებით;

ტენდერის სავარაუდო ღირებულება განისაზღვროს 35979 ლარით, 2019 წლის სახელმწიფო სახსრებიდან.

ელექტრონული ტენდერი გამოცხადდეს დღგ-ს ჩათვლით.

დამტკიცდეს: სატენდერო განცხადების, სატენდერო დოკუმენტაციის, ხარჯთაღრიცხვის (დანართი N1), შესრულების კალენდარული და თანხობრივი გეგმა-გრაფიკის (დანართი N2) და ხელშეკრულების პროექტის (დანართი N3) დოკუმენტები.

დაევალოს სატენდერო კომისიის აპარატს უზრუნველყოს კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად დოკუმენტაციის ერთიან ელექტრონულ სისტემაში ასახვა.

სატენდერო კომისიის თავმჯდომარე კონსტანტინე სირბილაძე

სატენდერო კომისიის წევრები ხატია ქანთარია

ირაკლი პაპავა

დავით ავალიანი

სატენდერო კომისიის აპარატის წევრი სოსო ქუთათელაძე